ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 1

ქ. ონი 21. 03. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდა 9 წევრი: როსტომ ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ნოდარ ბურდილაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამილა არჩვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი მანანა ჩაგელიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი“-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. მანანა ჩაგელიშვილი-კულტურის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი“-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. მანანა ჩაგელიშვილი-კულტურის სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი“-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ს. გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სოფლებში მცხოვრები ბავშვების ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, სამწუხაროა და დაუშვებელია, რომ მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს იმ ბავშვების ტრანსპორტირებას ონში, რომლებსაც ძალიან უნდათ იარონ სხვადასხვა წრეებზე. როდესაც ეს საკითხი დავაყენე, მერის მოადგილემ, ლევან შერაზადიშვილმა, მიპასუხა, რომ მერია ვერ აიღებს პასუხისმგებლობას სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირებაზე, ახლა როგორ იღებს პასუხისმგებლობას მერია სარაგბო კლუბის დაფუძნების შემთხვევაში ამბროლაურში ბავშვების ტრანსპორტირებაზე?

ლ. შერაზადიშვილმა განაცხადა, რომ ტრანსპორტირებისას აუცილებელია ბავშვების დაზღვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება ბავშვის ტრანსპორტირება განახორციელოს. ერთი ბავშვის დაზღვევა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ გადაიხდის. ამბროლაურში სარაგბო კლუბში ტრანსპორტირებისას ბავშვების დაზღვევის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

ე. მაისურაძემ განაცხადა, რომ თუ მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს ბავშვების ტრანსპორტირებას ონში, იქნებ უზრუნველვყოთ პედაგოგების სოფლებში ტრანსპორტირება თუნდაც თვეში ორჯერ .

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე